საიდ. №66370/03
IR 1106055

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №96-03/13

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ი. გიქორაშვილი (თავმჯდომარე), დ. ჭიჭინაძე, მ. ბაკურაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანია „ჰენკელ აგ & კო. კგაა”-ს (Henkel AG & Co. KgaA) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №96-03/13), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №232/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „3x ACTION” (საიდ. №66370/03 IR 1106055) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-3 კლასი).

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 თებერვლის №232/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „3x ACTION“ ქართულად ითარგმნება, როგორც სამმაგი მოქმედება. ნიშნის რეგისტრაცია მოითხოვება მე-3 კლასის საქონლის, მათ შორის სარეცხი და საწმენდი საშუალებების მიმართ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნიშანი აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, რადგან მიუთითებს საქონლის თვისებაზე, კერძოდ, რომ ამ ნიშნით ნიშანდებულ საქონელს გააჩნია სამმაგი მოქმედების უნარი. რის გამოც განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანია „ჰენკელ აგ & კო. კგაა” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, ექსპერტის დასკვნის გათვალისწინების შემთხვევაში გამოდის, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნით მონიშნულ საპონს აქვს სამმაგი ეფექტი, სარეცხ საშუალებას აქვს სამმაგი ეფექტი, მათეთრებელ საშუალებას აქვს სამმაგი ეფექტი, ქსოვილის დამარბილებელ საშუალებას აქვს სამმაგი ეფექტი და ა.შ. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშნი „3x ACTION” თარგმანი ქართულ ენაზე არ ნიშნავს სამმაგ ეფექტს. უფრო სწორი თარგმანი განცხადებული სასაქონლო ნიშნისა ქართულ ენაზე არის „3 X მოქმედება”, ანუ ქართულ ენაზე პირდაპირი თარგმანი „მოქმედება” არ არის ზედსართავი სახელი და არც არანაირად არ მიანიშნებს, არც შეიძლება მიანიშნებდეს საქონლის ამა თუ იმ თვისებაზე. აპელანტის მითითებით, სიმბოლო „3x ACTION” არ მიანიშნებს პირდაპირ რაიმე სახით განცხადებული საქონლის თვისებაზე და მახასიათებელზე. ამის დასტურად უნდა აღინიშნოს სასაქონლო ნიშნების „Beyond” და „Beyond Compare” შესახებ საქპატენტის სააპელაციო პალატის მიერ 2012 წის 18 მაისს მიღებული №31-03/12 გადაწყვეტილება, რომელშიც აღნიშნულია, რომ „Beyond Compare” სემანტიკური თვალსაზრისით ნიშნავს „შეუდარებელს” ე.ი. მიანიშნებს საქონლის ხარისხზე და მიუხედავად ამისა ის აღწერილობითად არ იქნა მიჩნეული განცხადებული საქონლის მიმართ. აპელანტის პოზიციით, ექსპერტიზამ არასწორად გამოიყენა

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტი, როდესაც ჩათვალა აღწერილობითად განცხადებული სასაქონლო ნიშანი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 თებერვლის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №232/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „3x ACTION” (საიდ. №66370/03 IR 1106055) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად”.

სააპელაციო კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „3x ACTION” (საიდ. №66370/03 IR 1106055) წარმოადგენს აღწერილობით სასაქონლო ნიშანს, რადგან სასაქონლო ნიშნის სიტყვიერი ნაწილი „3x ACTION” ქართულად ითარგმნება, როგორც „სამმაგი მოქმედება”, რომელიც პირდაპირ აღწერს მე-3 კლასის განცხადებული საქონლის ჩამონათვლის თვისებას და ხარისხს. განცხადებული სასაქონლო ნიშანი მიანიშნებს მომხმარებელს მე-3 კლასის განცხადებული საქონლის ეფექტურობაზე, რომ აღნიშნული საქონლის „სამმაგი მოქმედება” საქონელს გაცილებით ეფექტურს ხდის, რაც პირდაპირ მიანიშნებს საქონლის თვისებასა და ხარისხზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო

ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „3x ACTION” (საიდ. №66370/03 IR 1106055) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანია „ჰენკელ აგ & კო. კგაა”-ს (DGC VITACARE UK LIMITED) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. ძალაში დარჩეს საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 13 თებერვლის №232/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. მცხეთა სამხედროს ქ. №17). გადაწყვეტილების გაცნობიდან/ჩაბარებიდან ერთი თვის განმავლობაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ი. გიქორაშვილი

წევრები: დ. ჭიჭინაძე